

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრი (თანამდებობის პირი) - კარლო ჯამბურია;

თანამდებობის დასახელება - საკრებულოს თავმჯდომარე;

ფრაქციის დასახელება - „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“;

კომისიის დასახელება

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) - „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ პარტიული სიით;

საანგარიშო პერიოდი - 2019 წლის 1 ნოემბრი - დან 2020 წლის 1 ნოემბრა-მდე.

ანგარიშის ტიპი რიგითი

I. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 37  
საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 30
2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 96. მათ შორის დროებითი კომისიების - 4.  
კომისიის სხდომებზე დასწრება - 88. მათ შორის დროებით კომისიებში - 4.
3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 3.  
ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 3.
4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები

საანგარიშო პერიოდში, ინიცირებული იქნა:

- გეოგრაფიული ობიექტების სახელდების დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა;
- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების (პარკების) და სპორტული მოედნების მოწყობა-დაგეგმარების, დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა;
- ქ. ლაგოდეხში საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა;
- ლაგოდეხი მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა რაოდენობის მოკვლევის დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა;
- ქ. ლაგოდეხში რამდენიმე ქუჩის და ჩიხის რეაბილიტაცია, მათ შორის ასფალტო-ბეტონის საფარი დაიგო: ასათიანის, წმინდა ნინოს, თამარ მეფე, თავისუფლების და ვაშლოვნის დამაკავშირებელი, გურამიშვილის ჩიხი, ჯანელიძის, სულხან საბა ორბელიანის ქუჩებზე;
- ქ. ლაგოდეხში მდებარე მესამე საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია;
- სოფელ შრომა-კავშირში მდებარე დიდი სარწყავი არხის რეაბილიტაცია;
- ქ. ლაგოდეხში და რამოდენიმე სოფელში სასმელი წყლის ხარისხის და ტარიფის შესახებ სამუშაო შეხვედრების მოწყობა (როგორც მოსახლეობასთან, ასევე სხვადასხვა უწყებებთან).

ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა 12 დადგენილება, 1 განკარგულება.

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

- უმრავლესობის მიერ ინიცირებული ყველა საკითხი.
- მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ინიცირებული საკითხები.

საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა

მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა დაახლოებით 150-მდე და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა 20-30 (თითოეული შეხვედრა).

#### 8. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

მოქალაქეებთან შეხვედრები, რომელიც რეგულარულად ხორციელდება და რომლის მიზანია წარმომადგენლობითი ორგანოს გამჭვირვალობა, ანგარიშგება და მოსახლეობის პრობლემების კვლევა გამოიკვეთა რამოდენიმე ძირითადი საკითხი, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობას აწუხებს:

- დასაქმება;
- გზების და სანიაღვრე არხების მოწესრიგება სხვადასხვა სოფლებში და ქალაქ ლაგოდეხში;
- უპატრონო ძაღლების საკითხი;
- სასმელი წყლის პრობლემა სხვადასხვა სოფლებში და ქალაქ ლაგოდეხში (წყლის გადასახადზე და ხარისხზე);
- სამოვრების პრობლემა;
- სარწყავი სისტემების პრობლემა;
- სპორტული მოედნების და სკვერების არარსებობა.

#### 9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

ცენტრალურ და ადგილობრივ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, ასევე სხვა უწყებებთან მოქალაქეების მიერ მოწოდებული პრობლემების ადვოკატირება და მათი გადაჭრის გზების მოძიება.

მაგ: საანგარიშო პერიოდში: 1) მელიორაციის სამსახურს მივმართეთ ოფიციალური წერილითაც და ასევე სამუშაო შეხვედრაზეც დავაყენეთ სოფლების შრომა-კავშირის დიდი სარწყავი წყლის რეაბილიტაციაზე, რომელიც დაიწყო და მიმდინარეობს; 2) ქ. ლაგოდეხის და რამოდენიმე სოფლის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება, რაზეც ჩატარდა რამოდენიმე სამუშაო შეხვედრა, როგორც მოსახლეობასთან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციის და სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლებთან პრობლემის გამოკვეთის მიზნით, რის შემდეგაც გავაგზავნეთ ოფიციალური წერილები შესაბამის სტრუქტურებთან ვისაც ეკუთვნოდა სხვადასხვა პრობლემის მოგვარება, ასევე უშუალოდ შევხვდი მათ ხელმძღვანელებს, რის შედეგადაც აღნიშნული პრობლემა მოგვარდა.

#### 10. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

- რეგიონალურ საკონსულტაციო საბჭოს წევრი;
- ლაგოდეხის განვითარების ჯგუფის წევრი;
- არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- მუნიციპალიტეტის სხვადასხვა თემებში მოსახლეობასთან შეხვედრები და მათი სოციალური მდგომარეობის შესწავლა;
- სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში მონაწილეობის მიღება.
- მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საჭოს თავმჯდომარე.

შევსების თარიღი - 28 ოქტომბერი 2020 წელი.

წარდგენის თარიღი - 28 ოქტომბერი 2020 წელი.

ხელის მოწერა -----